



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy

2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი 2023



მიზანი 1. ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება:

ამოცანა 1.1. კოლეჯის ორგანიზაციული პროცესების განვითარება

კოლეჯში ჩატარდა რეორგანიზაცია: დირექტორის ბრძანებით შეიქმნა შიდა რეგულაციების გადახედვისა და შემუშავების სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა ჩატარებული სამუშაოების შემდეგ შეიმუშავა ახალი შიდამარეგულირებელი აქტები, რომლებიც ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში არის მოყვანილი. ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული საბჭო.

ადმინისტრაციის საბჭოს შეთანხმების საფუძველზე 2022 წლის სექტემბრის თვეში დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ახალი შიდამარეგულირებელი აქტები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ახალი სტრუქტურა.

მტკიცებულებები:

დირექტორის ბრძანება

სამუსაო ჯგუფის ოქმი

პასუხისმგებელი პირები - დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.



ამოცანა 1.2. კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება

დირექტორის ორგანიზებით 2022 წლის ოქტომბრის თვეში შენობის მდგრადობის განმსაზღვრელმა კომპანიამ შეისწავლა კოლეჯის შენობის მდგრადობის მდგომარეობა და შეადგინა შესაბამისი დასკვნა მდგრადობის შესახებ.

უსაფრთხოების მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულ იქნა სახელმწიფო უწყების, საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის მიერ და დამტიცდა დირექტორის ბრძანებით, ასევე დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საგანგებო შტაბი.

კოლეჯის შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწვეულ იქნა ექსპერტები საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტიდან. რომელთაც შეამოწმეს კოლეჯის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები.

მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა პერიოდული ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში.

საჭიროების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით განახლდა და შეძენილ იქნა სასწავლო და საოფისე ინვენტარი

ოთხივე პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მუდმივად ხდება კოლეჯის მიერ შესყიდული მასალა/წვდომული C გარემოს შევსება პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

კოლეჯში B და C სასწავლო გარემოში შრომის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქცია.

კოლეჯში მუდმივად ხორციელდება ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება/შეძენა.

მტკიცებულებები: დასკვნა, შეთანხმება, რეკომენდაციები, ბრძანება, სამსახურებრივი ბარათი

პასუხისმგებელი პირი - უსაფრთხოების მენეჯერი

თანამშრომლებელი - დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი.



ფინანსური მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 2. საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის განვითარება

ამოცანა 2.1. შეფასების სისტემის სრულყოფა/ განვითარება

ვინაიდან სასწავლო პროცესის მენეჯერი დაინიშნა 2023 წლის იანვრის თვეში პროფესიული სტუდენტების შეფასების ვერიფიკაციის პროცესი დაგეგმილ ვადებში ვერ მოხერხდა, რამაც გამოიწვია სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანის ნაწილობრივ შესრულებლობა. თებერვლის თვეში განისაზღვრა ვერიფიკაციის კომისია, კომისიას მიეცა ერთი თვის ვადა დასკვნის წარმოსადგენად, ამიტომ აღნიშნული ამოცანის შესრულება გადავიდა 2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

მტკიცებულებები:

ბრძანება

პასუხისმგებელი პირი - ხარისხის მართვის მენეჯერი

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ვერიფიკაციის კომისია.

შესრულების შედეგი - ნაწილობრივ შესრულებულია.

მიზანი 3. მომხმარებელზე ორიენტირებულობა და ინოვაციური სევრისების შეთავაზება

ამოცანა 3.1 ექსტრაკულიკულური აქტივობების პროექტების შემუშავება, მხარდაჭერა



ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების მიზნით 2022 წელს დაიგეგმა პროფესიული სტუდენტებისათვის სემინარების ჩატარება. დეკემბრის თვეში Natali Group-ის ორგანიზებით გაიმართა ვორქშოფი, რომელსაც მსოფლიოში მოწინავე ბრენდის Germanie de capuccini-ის საერთაშორისო ტრენერი Marria Epple გაუძღვა. მასტერკლასის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სახისა და სხეულის ინოვაციური, ესთეტიკური, კოსმეტოლოგიური და სპა პროცედურების ექსკლუზიური ტექნიკები. მასტერკლასს დაესწრნენ კოლეჯის პედაგოგები და კურსდამთავრებულები. აღნიშნული მასტერკლასი ემსახურებოდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას.

2023 წლის იანვარში ჩატარდა სემინარი თემაზე - სახის კანის წმენდა და მოვლა მასაჟის ექსკლუზიური ტექნიკებით. სემინარს გაუძღვა 20 წლიანი გამოცდილების მქონე უკრაინელი კოსმეტოლოგი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა საკუთარი გამოცდილება. სემინარს დაესწრნენ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ის კოსმეტოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულები და კოსმეტოლოგიის მიმდინარე პროგრამის სტუდენტები. სემინარი ემსახურებოდა კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტუდენტების კარიერულ წინსვლას.

მტკიცებულებები:

<https://www.nataliacademy.ge/>

სამსახურებრივი ბარათი, ოქმი;

პასუხისმგებელი პირი - კარიერული წინსვლის მენეჯერი

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი ფინანსური მენეჯერი.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.